<u>დანართი N1</u>

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით საჩივრების განმხილველი კომისიის საქმიანობის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდგომში - ,,სამინისტრო“) შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით საჩივრების განმხილველი კომისიის საქმიანობის წესი (შემდგომში – ,,წესი“) განსაზღვრავს სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით საჩივრების განმხილველი კომისიის (შემდგომში – ,,კომისია“) სხდომაზე საჩივრის განხილვისა და გადაწყვეტის პროცედურებს.

2. კომისია არის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის სათათბირო ორგანო, რომელიც სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, კოლეგიურად, ღია სხდომაზე, განიხილავს სამინისტროში შემოსულ საჩივრებს.

3. კომისია მოქმედებს საქართველოს კონსტიტუციით, „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსითა და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების საფუძველზე.

მუხლი 2. კომისიის უფლებამოსილებები

1. კომისია უფლებამოსილია:

ა) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, განიხილოს სადავოდ გამხდარი სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის მიერ

შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ან მასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების კანონიერების საკითხი;

ბ) კომისიის სხდომაზე მონაწილეობის მიზნით, მოიწვიოს უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენლები, დაინტერესებული მხარეები და სხვა პირები;

გ) მასზე დაკისრებული ფუნქციების განხორციელების მიზნით, გამოითხოვოს დოკუმენტები და მიიღოს საჭირო ინფორმაცია საჯარო და კერძო დაწესებულებებიდან;

დ) განახორციელოს ამ წესითა და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებები.

2. კომისია ანგარიშვალდებულია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინაშე.

მუხლი 3. კომისიის ხელმძღვანელობა

1. კომისიას ხელმძღვანელობს და მის სხდომებს წარმართავს კომისიის თავმჯდომარე.

2. კომისიის თავმჯდომარე:

ა) იწვევს და უძღვება კომისიის სხდომებს;

ბ) კოორდინაციას უწევს კომისიის წევრების საქმიანობას;

გ) ხელს აწერს კომისიის ოქმებს;

დ) აკონტროლებს კომისიის სხდომების დღის წესრიგისა და მიღებული ოქმების შესრულებას;

ე) ახორციელებს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

3. კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ასრულებს თავმჯდომარის უფლებამოსილებას მისი არყოფნის შემთხვევაში.

4. ერთდროულად, კომისიის თავმჯდომარისა და თავმჯდომარის მოადგილის არყოფნის შემთხვევაში, სხდომის თავმჯდომარის უფლებამოსილებას ახორციელებს კომისიის ერთ-ერთი წევრი, რომელიც აირჩევა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობით.

მუხლი 4. კომისიის წევრი

1. კომისია შედგება სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და მის კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების წარმომომადგენლებისგან.

2. კომისიის წევრს უფლება აქვს:

ა) საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევის მიზნით, შეისწავლოს სადავო აქტის კანონიერების საკითხი, მასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია დასაქმეზე დართული მტკიცებულებები.

ბ) საჩივართან დაკავშირებით შუამდგომლობ(ებ)ისა და დამატებითი დოკუმენტაცია/ინფორმაციის მოძიების მიზნით, იშუამდგომლოს ზეპირი მოსმენის სხდომის გადადებაზე;

გ) კომისიის სხდომაზე დააყენოს წინადადებები განსახილველი საჩივრის შესახებ, მიიღოს მონაწილეობა მათ განხილვაში და საკითხის კენჭისყრაში;

დ) დააფიქსიროს განსხვავებული აზრი განსახილველ საჩივართან დაკავშირებით.

3. კომისიის წევრი ვალდებულია:

ა) მონაწილეობა მიიღოს კომისიის სხდომებში;

ბ) შეასრულოს კომისიის დავალებები.

4. კომისიის სხდომაში მონაწილე კომისიის წევრს უფლება აქვს გადაწყვეტილების მიღებისას ჰქონდეს განსხვავებული აზრი, რომლის ცალკე წერილობითი ფორმით დასაბუთება არ არის სავალდებულო. განსხვავებული აზრის წერილობითი ფორმით ჩამოყალიბების შემთხვევაში, ის დაერთვის კომისიის სხდომის ოქმს და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 5. კომისიის მდივანი

1. კომისიის სამდივნოს ფუნქციას ასრულებს სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტი.

2. კომისიის მდივანი ადგენს და ხელს აწერს სხდომის ოქმს, ასევე, ასრულებს კომისიის თავმჯდომარის დავალებებს და სხვა უფლებამოსილებს.

მუხლი 6. კომისიის სხდომაზე განსახილველად საკითხის მომზადება

1. კომისიის საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებს სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტი.

2. სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის უფლებამოსილი პირი კომისიის სხდომის გამართვის დროის, ადგილისა და

კომუნიკაციის ფორმის შესახებ კომისიის წევრებს და საჩივრის ავტორს/წარმომადგენელს, ასევე, სათანადო პირებს ატყობინებს ტექნიკური საშუალებების (ტელეფონით, ფაქსით, ელექტრონული ფოსტით და სხვ.) გამოყენებით.

3. კომისიისა და საჩივრის ავტორის/წარმომადგენლის სურვილის შემთხვევაში, კომისიის სხდომაზე მონაწილეობის მიღება შესაძლებელია ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებებით.

მუხლი 7. კომისიის სხდომის ჩატარებისა და გადაწყვეტილების მიღების წესი

1. წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის შესაბამისად, კომისია მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში, გადაწყვეტილებას იღებს სხდომაზე.

2. კომისია საქმიანობას ახორციელებს სხდომების მეშვეობით.

3. სხდომას უძღვება კომისიის/სხდომის თავმჯდომარე.

4. კომისია უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

5. კომისიის გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილების მიღება ხდება ღია კენჭისყრის წესით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტია სხდომის თავმჯდომარის ხმა.

6. კომისიაზე განსახილველ საჩივართან დაკავშირებით გადაწყვეტილება ფორმდება სხდომის ოქმითა (დანართი N1.1) და აუდიოჩაწერის საშუალებით, რომელსაც ხელს აწერს კომისიის/სხდომის თავმჯდომარე, კომისიის დამსწრე ყველა წევრი და კომისიის მდივანი.

7. კომისიის თავმჯდომარის/მოადგილის/წევრის ინიციატივით ან საჩივრის ავტორის თხოვნით, შესაძლებელია საკითხის განხილვა გადაიდოს სხვა დროისათვის.

8. განსახილველი საკითხის სირთულის გათვალისწინებით, კომისია უფლებამოსილია ხმის უფლების მიცემის გარეშე სხდომაზე მოიწვიოს ექსპერტი/სპეციალისტი.

9. კომისია უფლებამოსილია იმსჯელოს:

ა) საჩივრის დაკმაყოფილებისა და საქმის ხელახალი განხილვისათვის წარმოების დაწყების შესახებ;

ბ) საჩივრის დაკმაყოფილებისა და საქმის შეწყვეტის შესახებ;

გ) საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და სადავო აქტის უცვლელად დატოვების შესახებ;

დ) საჩივრის განუხილველად დატოვების თაობაზე.

მუხლი 8. საჩივართან დაკავშირებით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა

საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების გამოკვლევის შედეგად კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილის მიერ გამოიცემა დადგენილება, რომელიც საჩივრდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

<u>დანართი N1.1</u>

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით საჩივრების განმხილველი კომისიის სხდომის

ოქმი № _____

ქალაქი თბილისი თარიღი: ___ / ___ / 2020 წელი

საჩივრის ნომერი: ----------
საჩივრის თარიღი: ----------

სხდომას ესწრებოდნენ:

სხდომის თავმჯდომარე: ----------
კომისიის წევრი: ----------
კომისიის წევრი: ----------
კომისიის წევრი: ----------
კომისიის წევრი: ----------
კომისიის წევრი: ----------
კომისიის წევრი: ----------
კომისიის წევრი: ----------
კომისიის მდივანი: ----------

სხდომაზე გამოცხადებული მხარეები:

საჩივრის ავტორ(ებ)ი: ----------

მოწინააღმდეგე მხარე: ----------

დაინტერესებული მხარე(ები): ----------

მოთხოვნის დაზუსტება: ----------

გაქვთ აცილება ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე კომისიის ან მისი წევრების მიმართ? ----------
---

სასამართლოს წარმოებაშია საქმე დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით? ----------
---

როდის გახდა ცნობილი გასაჩივრებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი საჩივრის ავტორისათვის? ----------
---

სხდომის გახსნის დრო: ----------
სხდომის დახურვის დრო: ----------

შენიშვნა: ----------

გადაწყვეტილება: ----------

სხდომის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

კომისიის წევრის ხელმოწერა: ----------

კომისიის წევრის ხელმოწერა: ----------

კომისიის წევრის ხელმოწერა: ----------

კომისიის წევრის ხელმოწერა: ----------

კომისიის წევრის ხელმოწერა: ----------

კომისიის წევრის ხელმოწერა: ----------

კომისიის წევრის ხელმოწერა: ----------

სხდომის მდივნის ხელმოწერა: ----------